საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) რექტორის აპარატის დებულება განსაზღვრავს რექტორის აპარატის ფუნქციებსა და საქმიანობის წესს.
2. რექტორის აპარატი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით, ნორმატიული და სამართლებრივი აქტებით და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 2 . რექტორის აპარატის მიზნები

1. რექტორის აპარატის მიზნებია:
ა) ხელი შეუწყოს რექტორს უფლებამოსილების განხორციელებაში;
ბ) უზრუნველყოს რექტორის ინიციატივების ადმინისტრაციული და საორგანიზაციო მხარდაჭერა/განხორციელება.

მუხლი 3. რექტორის აპარატის პერსონალი და ფუნქციები

1. რექტორის აპარატის პერსონალს შეადგენს რექტორის მოადგილე და რექტორის თანაშემწე.
2. რექტორის აპარატი პასუხისმგებელია რექტორის წინაშე.
3. რექტორის მოადგილის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით.

4. რექტორის თანაშემწეს ფუნქციებია:

ა) რექტორისა და რექტორის მოადგილის უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობა;
ბ) უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან და სტრუქტურულ ერთეულებთან რექტორის და რექტორის მოადგილის სამსახურებრივი ურთიერთობის ხელშეწყობა და კოორდინაცია;
გ) რექტორის თათბირების/შეხვედრების და მოქალაქეთა მიღების ორგანიზება;
დ) რექტორის საქმიანობის შესახებ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;
ე) რექტორის დავალებების შესაბამისად, რექტორის საქმიანობიდან გამომდინარე სხვა სახის ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 4. რექტორის აპარატის პერსონალის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები

1. რექტორის აპარატის სამსახურში მიღება ხორციელდება შრომის კანონმდებლობისა და „სსიპ - სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ შესაბამისად.

2. რექტორის აპარატის პერსონალის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“, ამ დებულებითა და შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.